



**სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**

15 მაისი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 62

„სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N60 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N519142, 14.05.2024) შესაბამისად,

გბრძანებ:

შევიდეს ცვლილება „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N60 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) მე-2 პუნქტით დამტკიცებული კონკურსის პირობების (დანართი N1) მე-4 მუხლის:

ა.ა პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) პარტნიორი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2024 წლის მდგომარეობით); ხოლო სსიპ-ის შემთხვევაში - დაფუძნების დოკუმენტი;“

ა.ბ. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრებისა და პარტნიორი ორგანიზაციის ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №8, გენერირდება GMUS-ით); დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

ბ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული კონკურსის პირობების (დანართი N1) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირტვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>.

ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირტვა GMUS-ის შესაბამის ველებში. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) ინდივიდუალურად დარეგისტრირდნენ ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრები (შექმნან „მეცნიერის პროფილი“) და პარტნიორი ორგანიზაცია („ორგანიზაციის პროფილი“).

გ) მე-9 პუნქტით დამტკიცებული კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა (დანართი N8) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

SPF_2024

სარეგისტრაციო შიფრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2024 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის N85/ნ ბრძანებას „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე, „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების, პროექტის ფორმებისა და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N60 ბრძანებას, პროექტების შეფასების მეთოდს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვადასტურებ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობასა და პროექტისათვის მის გამოყენებას.

პროექტის განმახორციელებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფი და პარტნიორი ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას, რომ 2024 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტი ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის წარმდგენი ფიზიკურ პირთა ჯგუფისა და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით და არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვართ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრირდეთ ჩვენი პროექტი 2024 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში კონკურსში

პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხანგრძლივობა: • პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): • პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი):	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (ლარი)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	

ფიზიკურ პირთა ჯგუფი

№	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	ხელმოწერა
1		პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი	
2		პროექტის რეჟისორი	
3		სცენარის ავტორი	

პარტნიორი ორგანიზაცია

სრული სახელწოდება	
მისამართი	
ტელეფონი	ელ. ფოსტა
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	ხელმოწერა
ბ.ა.	